Dana R. Rinne
BA in Psychology (University of Wyoming),
Quality Assurance Coordinator at BRAMS Institute

MAN ON MERCURY

KEYWORDS: Ballarat, Manson, Criminal, Myth, Endurance, Arid Region, Identity, Manhunt, Isolation

"According to medieval and Renaissance alchemists and philosophers, Mercury is the god who reveals insight in the colours of a thing, in the surprise visages that appear when a thing is turned around and over and upside down"
— Thomas Moore

"Use daily to scrub the slate clean"
— Advice on the back label of "Axe Snake Peel shower scrub with desert minerals + cactus oil"

There is something almost Sophoclean[1] about a man in exile, living life on his own terms but wanting scarcely anything to do with life. There is something nearly Oedipal[2] about a man whose every move is but a riddle, answered only by another riddle; about a man unable to face his family and uncertain if he can ever find another friend. There is something rather tragic, it seems, about the Ballarat Bandit.[3]

The sun in and around Death Valley,[4] California, bakes the living Earth in a predictable order. The first thing to evaporate is the soul: whatever glimmer of humanity and song that had once dwelt in Charles Manson,[5] and whatever relations that had been formed, enacted, and dissolved in the tiny Gold Rush town of Ballarat,[6] disappeared forever. Then the skeleton is scorched: Manson's mind, eyes, and sockets melted together into an inhuman brew; Ballarat's buildings weathered in the sun, leaving just a single store running in the summertime, where four-wheel

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

სტატიები

ARTICLES

BRAMS Journal No. 6
2022 Volume 3, Issue 1/2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სარჩევი * CONTENT

სტატიები * ARTICLES

Dana R. Rinne – Man on Mercury 6
გივი ბოლოთაშვილი – ტოლერანტობის ასიმეტრიულობა..... 15
ვახტანგ ნანიტაშვილი – საქართველოს რადიოს „ფესვებიდან გაზომილი სიმაღლე“ 36
მამია ებრალიძე – წიგნის გამოცემის კულისები 52
მაია ნადარეიშვილი – კომპოზიციის ტრადიცია და ტრენდები ქართულ მედიატექსტში 67
მარიამ ბენდიანიშვილი – სოციალური მედიის პროფესიონალური გამოყენების სამართლებრივი და დეონტოლოგიური ნორმები..... 92

ანოტაციები * ABSTRACTS

დანა რ. რინი – ადამიანი მერკურიზე 105
Givi Bolotashvili – Asymmetry of tolerance..... 110
Vakhtang Nanitashvili – The American roots of the Georgian Radio 113
Mamia Ebralidze – Backstage of book publishing..... 116
Maia Nadare – The tradition and trends of composition in the Georgian media text..... 119
Mariam Bendianishvili – Legal and deontological norms during the professional use of social media 123

BRAMS Journal No. 6
2022 Volume 3, Issue 1/2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დანა რ. რინი
ფსიქოლოგიის ბაკალავრი
(ვაიომინგის უნივერსიტეტი),
ბრამსის ინსტიტუტის ხარისხის
უზრუნველყოფის კოორდინატორი

ადამიანი მერკურიზე

(ანოტაცია)

საკვანძო სიტყვები: ბალარატი, მანსონი, კრიმინალი, მითი, უდაბნო, იდენტობა, დევნა, იზოლაცია

არის რაღაც, თითქმის, სოფოკლესეული ისეთი ადამიანის ბედში, რომელიც სამშობლოდანაა გადახვეწილი, საკუთარი წესებით ცხოვრობს და, ლამის, აღარ სურს სიცოცხლე. თითქმის, ოიდიპოს მეფის ბედი აქვს იმ კაცს, რომლის თითოეული ქმედება გამოცანაა და ამოხსნა კი მორიგი ქარაგმა; ამ ადამიანს ოჯახისთვის თვალის გასწორება აღარ ძალუძს და ისიც კი გაურკვეველია, მეგობრის პოვნას ისევ თუ შეძლებს. ბალარატელი ბანდიტის ამბავი, გარკვეულწილად, ტრაგიკულია.

კალიფორნიის შტატში გადაჭიმულ სიკვდილის ველზე, ლოგიკურია, მწველი მზე რომ არ ინდობს სიცოცხლით სავსე დედამიწას. უპირველეს ყოვლისა, აქ სული აორთქლდება: ადამიანურობისა და სიმღერის ის მცირე ნიშანწყალიც კი იკარგება, ოდესღაც რომ ჩარლზ მენსონში არსებობდა და ერთხელ შექმნილი, დადგენილი და შეწყვეტილი ურთიერთობები სამუდამოდ გაქრა ოქროს ციებცხელების ეპოქაში გაჩენილ პატარა დაბა ბალარტში. მეორე ეტაპზე კი მზეზე იტრუსება ადამიანური ყოფის კარკასი: მენსონის გონება, თვალები და თვალის უპეები არაადამიანური სისასტიკის ერთიან ნაზავად იხარშება; დაბა ბალარტის შენობები მზეზე უფუნქციოდ

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ხუნდება, სანამ ერთადერთი მაღაზია აგრძელებს ფუნქციონირებას ზაფხულის პერიოდში, რომ ტრაილერთა მძღოლებს პირის გასვლების საშუალება არ მოესპოთ. ამგვარად, ლანდიდა რჩება: ავადმყოფური და უფორმო ძალები, ვიზიტორებს თან რომ იზიდავენ მენსონის რანჩოს სანახავად და, ამავე დროს, უკუაქცევენ იქიდან; სრული გაუცხოების აურა მოსდებია დაბა ბალარტს, სადაც, როგორც ამბობენ, შვიდი ბარ-რესტორანი, სამი სასტუმრო, ერთი ციხე და ერთიც მორგი ფუნქციონირებს, მაგრამ წამლად სულ პატარა ეკლესიაც კი არ არის. 2003 წელს ამ პატარა დასახლებას, რომელიც რუკებზე აღნიშნულია როგორც „მიყრუებულ-მიტოვებული დაბა“, ერთი ცოდვილი შემოეჩვია, რომელიც სულ მალე იქცა ადგილობრივ ლეგენდად.

როდესაც რამდენიმე ლოსანჯელესელი პოლიციელი, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მდგომარეობაში არ იმყოფებოდნენ, ვიღაც კაცს გადაეყარა უდაბნოში, „ბალარატელი ბანდიტი“ უკვე საკმაოდ ცნობილი იყო სიკვდილის ველსა და მის მიდამოებში. მიუხედავად იმისა, რომ კაცმა თავი რიგით ტურისტად გააცხადა, მისი კამუფლაჟიანი ტანსაცმელი და აღჭურვილობა სულ სხვაზე მეტყველებდა. პოლიციის ოფიცრებს წარმოდგენა არ ჰქონდათ უკანასკნელ პერიოდში მომხდარ ძარცვის ფაქტებზე, მაგრამ საკმაოდ საეჭვოდ მოეჩვენათ უცნობი და, ყოველი შემთხვევისთვის, ფოტო გადაუღეს. თუმცა სურათზე კარგად არ ჩანდა თავად ის კაცი, მის ხელთ არსებული ნივთები დაფიქსირდა. როდესაც გამოძიებამ დაადგინა, რომ ისინი ბალარატელების ქონების ნაწილს წარმოადგენდა, ეჭვის საფუძველი გაჩნდა იმ კაცთან დაკავშირებით. იგი არ უნდა ყოფილიყო არც „უდაბნოს მძარცველი“ და არც „ჩვეულებრივი ქურდი“.

პოლიციისა და სადესანტო დივერსიული ნაწილის (BLM) რეინჯერების ერთობლივი ძალისხმევით, ეჭვმიტა-

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ნილის ინტენსიური სამძებრო ოპერაცია განხორციელდა როგორც მიწაზე, ისე – ჰაერიდან, მაგრამ უშედეგოდ. მალევე მათ ნევადის შტატის ნაის ოლქის სამართალდამცავები შეუერთდნენ, რომლებიც სულ ახალ ნაკვალევს წააწყდნენ, პატარა მთის მიუვალ წვერზე რომ იკარგებოდა, თითქოს, „სუპერადამიანის“ მსგავსს გაევლო. განსაკუთრებული ღელვის მიზეზი მაშინ გაჩნდა, როდესად აღმოაჩინეს სამხედრო ობიექტების რუკები და მცირე ნაბანაკარების კვალი სამხედრო ობიექტების მიდამოებში, მათ შორის, სახელგატეხილი 51-ე რეგიონის მახლობლად.

უკვე ცხადი იყო, რომ ბალარატელი ბანდიტი ჩვეულებრივი ადამიანის ჩარჩოში არანაირად არ ჯდებოდა. მის ხელთ არსებული იარაღის მარაგისა და საბრძოლო პოზიციების აღმოჩენის უნარის მიუხედავად, მას არასოდეს უსვრია ვინმესთვის. როდესაც მიუახლოვდებოდნენ, მისი რეაქცია იმაზე მეტყველებდა, რომ ძალადობისკენ მიდრეკილი არ უნდა ყოფილიყო. უფრო, შეშინებულს ჰგავდა. ვერაფრით დაადგინეს – მტაცებელი იყო, მსხვერპლი, თუ ორივე ერთად.

კალიფორნიისა და ნევადის შტატების ადმინისტრაციათა ძალისხმევას მალე აშშ უშიშროების სამინისტროც დაემატა და კიდევ ერთი ინტენსიური სამძებრო ღონისძიება განხორციელდა. ბანდიტი ისევ ყველას გაექცა. ნევადაში ძარცვის მთელი სერიის განხორციელების შემდეგ, ძებნილი კვლავ გაუჩინარდა.

სადესანტო დივერსიული ნაწილის ერთ-ერთმა რეინჯერმა სიკვდილის ველზე გაბნეულ ბანდიტის „ძველ ბუნაგთა“ შემოწმება განიზრახა. კვალს მიაგნო და იგრძნო, რომ რაღაც რიგზე არ უნდა ყოფილიყო. ამიტომ დამხმარე ძალა გამოიძახა. 1500 მილის მანძილზე ჩატარებული სამძებრო ღონისძიება წარუმატებელი გამოდგა და საიდუმლო ამოუხსნელი დარჩა. იმედგაცრუებული რეინჯერი არ დანებდა. მთელი ღამის განმავლობაში მისდევდა ბან-

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

დიტის ნაკვალევს და სულ უფრო უძლიერდებოდა წარმატების მიღწევის იმედი, რადგან ამჯერად ბანდიტი უბრალოდ სამხრეთისკენ გარბოდა და არ ცდილობდა სიმაღლეზე აძრომას, როგორც ჩვეულებრივ.

მეორე დილით სხვა ოფიცერმაც მოჰკრა თვალი ვიღაც საეჭვო კაცს. საჰაერო-სახმელეთო დანაყოფებმა ბანაკი აღმოაჩინეს იმ ადგილიდან მოშორებით, სადაც უცნობი დაინახა მათმა კოლეგამ. ინფორმაციის თანახმად, ბანაკში ვიღაც იმყოფებოდა. პოლიციამ ჩუმად ალყა შემოარტყა მას. სწორედ ამ დროს დაინახეს, რომ ცეცხლსასროლი იარაღი ეკავა. დანებება უბრძანეს. გასროლის ხმა გაისმა. ძებნილის დევნის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეს იყო პირველი და უკანასკნელი ტყვია. ბანდიტმა სიცოცხლე მოისწრაფა. იწვა მტვრიან ქვიშაზე და ისევ არავინ იცოდა მისი ვინაობა.

რადგან გამომძიებელ-ექსპერტმა დეივ ვან ნორმანმა მამაკაცის იდენტიფიცირება ვერაფრით შეძლო, კოლეგებს ელექტრონული ფოსტით გადაუგზავნა გვამის ფოტო და დახმარება ითხოვა. ბანდიტის ისტორიის მსგავსად, კალიდოსკოპურ თავსატეხად რომ რჩებოდა მრავალთვიანი გამოძიების მერეც, ამერიკელმა კორონერმა თავისი შეკითხვის პასუხად ახალი შეკითხვა მიიღო: „ვინ ლაპარაკობს და იქცევა ამერიკელივით, გარეგნობითაც ამერიკელს ჰგავს, მაგრამ ამერიკელი არ არის?“ ცხადია, პასუხი უნდა ყოფილიყო „კანადელი“. ამომწურავი და სრული პასუხი რამდენიმე თვეში მიიღო გამომძიებელ-ექსპერტმა ვან ნორმანმა მას მერე, რაც კანადის სამეფო პოლიციას გარდაცვლილის თითის ანაბეჭდები მიაწოდა. ბანდიტი მართლაც კანადელი აღმოჩნდა, სახელად ჯორჯ რობერტ ჯონსტონი, პრინც-ედუარდის კუნძულიდან.

კაცი მოკვდა. უფრო სწორად, სიცოცხლე მოისწრაფა, როდესაც დაჭერის საფრთხე რეალური გახდა. ასეთი რა დააშავა, ორი შტატის დესანტი რომ მიწასა და ჰაერ-

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ში თვეების განმავლობაში დასდევდა? ჯონსტონს არასოდეს მიუყენებია ფიზიკური ზიანი არცერთი ადამიანისთვის, მიუხედავად იარაღის მთელი არსენალისა, თან რომ დაატარებდა. მართალია, ბევრი ტურისტი დააფრთხო სიკვდილის ველის რეგიონიდან, როდესაც მათი კარვებიდან სასმელი წყალი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები მოიპარა. კანადელი ლტოლვილი მხოლოდ იმიტომ ქურდობდა, რომ უდაბნოში მარტოდმარტოს საკუთარი სიცოცხლე გადაერჩინა. გამოუვალი მდგომარეობით ჩიხში იყო მიმწყვდეული.

მშობლიურ დედამიწაზე უცხოპლანეტელივით გაირიყა ჯონსტონი. დღისით მზემდე ერთი ხელის გაწვდენა იყო, თითქოს. ვარსკვლავები თვალს უკრავდნენ და ღამეულ ცას სწყდებოდნენ სხვადასხვა მხარეს. კოსმოსის ჰორიზონტამდე მილიონობით სინათლის წელი აშორებდა კანადელ მარტოსულს, მაგრამ მაინც, ანგელოზებთან გაცილებით ახლოს გრძნობდა თავს, ალბათ, ვიდრე კალიფორნიის უდიდესი ქალაქის – ლოს-ანჯელესის ჩირაღდნებთან. ასეთივე წარმატებით პლანეტა მერკურიზე შეეძლო ყოფილიყო.

ერთ-ერთმა რეინჯერმა, რომელიც ჯონსტონის უკანასკნელ ბანაკზე ალყის განხორციელებაში მონაწილეობდა, მოგვიანებით სინანულით აღნიშნა: ნეტა, მისი დახმარება მეცადა – თავში არც კი მომსვლია, რომ პრობლემა ჰქონდა, პრობლემას კი არ ქმნიდაო.

ამერიკელ დეივ ვან ნორმანს კანადელი ჯონსტონი ადამიანურად შეეცოდა. გარდაცვლილისთვის ბევრის გაკეთება აღარ შეეძლო, მაგრამ ბოლოჯერ მაინც იზრუნა მისთვის უცნობსა და უცხოზე: მხოლოდ კორონერმა იცოდა ბალარატელი ბანდიტის დროებითი საფლავის ადგილი და ელოდებოდა, როდის გადაასვენებდა მისი ცოლშვილი ტრაგიკულად გარდაცვლილ ოჯახის თავს კანადაში.

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)